3-ქულიანი “დისტანცია” ძალაში რჩება

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 6 ივლისი. წვიმა. 22 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.

“ტორპედო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

გოლები გაიტანეს – მეტრეველმა (76) (დინამო”) – 0:1, ვორონინმა (84) “ტორპედო”) - 1:1.

“ტორპედო”: კავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი (ბრედნევი - 74), მარუშკო, სარაევი, ვორონინი, ბატანოვი, სოლოვიოვი, სტრელცოვი, შჩერბაკოვი, სერგეევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი (მეტრეველი - 46), დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი, გვერდითი მსაჯები ტ. ბელიევი და ა. ისმაილოვი (ყველა ბაქო).

მოსკოვი (ტელეფონით). ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს თბილისის “დინამოსა” და გათამაშების ლიდერ მოსკოვის “ტორპედოს” “ცუდი მასპინძლობა” გაუწია დედაქალაქის ცენტრალურმა სტადიონმა - მოედნის თითქმის ყველა მონაკვეთი წყლის გუბეებით იყო დაფარული (გადაუღებლად წვიმდა მთელი წინაღამისა და დღის განმავლობაში. რაც მთავარია, არც მატჩის მსვლელობისას გადაუღია წვიმას). მაგრამ ჩვენი ქვეყნის წამყვანი გუნდების სასახელოდ უნდა აღვნიშნო, რომ სტადიონის ტრიბუნების მშრალ ადგილებზე მოკალათებულ მხოლოდ 30 ათასამდე მაყურებელს დიდი სიამოვნება განაცდევინა ტემპიანმა, გააზრებულმა და კორექტულმა თამაშმა. აქვე მინდა ვთქვა ერთი მეტად თვალშესახები ჭეშმარიტება - მღვრიე წყლით შეკმაზულ მწვანე მინდორზე “მომუშავე” 22 ფეხბურთელთაგან განსაკუთრებით “მშრალად” გრძნობდა თავს თბილისელი გ. სიჭინავა, რომელიც დამძიმებულ და ყოველ წუთს ასასხლეტად გამზადებულ ბურთს აიძულებდა შეესრულებინა ის მოძრაობანი, რასაც თვით მოისურვებდა.

მწვრთნელებმა მოედანზე არ გამოიყვანეს არც ს. მეტრეველი (თბილისი) და არც ვ. ივანოვი (“ტორპედო”), მაგრამ როგორც შემდეგში გამოირკვა, თბილისელთა მწვრთნელს ეს დაგეგმილი ჰქონია მხოლოდ 45 წუთით, ხოლო მოსკოველთა მწვრთნელს კი - 90 წუთით. არ ვიცი რამ გამოიწვია მეტრეველის პირველ ტაიმში მაყურებლის როლში ყოფნა, მაგრამ პირადად ჩემი დასკვნა ასეთია - მეტრეველის გუშინდელ მატჩში მთლიანად 90 წუთით თავის ბიჭებში თამაში ალბათ ნამდვილად შეამცირებდა ჩემპიონსა და ლიდერს შორის 3-ქულიან დისტანციას და მინიმუმამდე დაიყვანდა მას.

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ - 0:0. აღნიშნული ანგარიში ნამდვილად გამოხატავს გუნდების ტოლფარდოვან ბრძოლას პირველ ტაიმში. მაგრამ მეორე ტაიმის კვლავ საყაიმო ანგარიში კი (1:1) აღარ შეესაბამება იმ შეფარდებას, რაც აშკარად შეიმჩნეოდა. თბილისელები თითქმის მთელი 45 წუთის განმავლობაში ფლობდნენ თამაშის სადავეებს. თუ მოსკოველთა კარში გატანილ გოლში (იგი გაიტანა მეტრეველმა) დამნაშავენი არიან ბატანოვი და მეკარე კავაზაშვილი, ამას ვერ ვიტყვით თბილისელთა კარში გასულ გოლზე, სადაც “დამნაშავის” როლში გამოვიდა ვორონინი, რომლის მიერ ოსტატურად შესრულებულ საჯარიმო დარტყმაში,

რომელსაც გოლი მოჰყვა, არც თბილისელთა 7-კაციანი “კედელი” იყო დამნაშავე და არც მეკარე კოტრიკაძე.

ამრიგად, ჩემპიონსა და ლიდერს შორის 3-ქულიანი დისტანცია ძალაში დარჩა.

ა. ხომიჩი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ლელო 7.07.65

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 7.07.65.